პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამ. კ-ს შენ. პირ. სართ. რუსთაველის პრ. № 31

კვირა 18 მარტი
1923 წ
წელიწადი მესამე

№ 237 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 237

# პარიზის კომუნა.

ორმოცდათორმეტი წლის წინად 1871 წელს 18 მარტს პარიზის გმირმა პროლეტარიატმა ჯერ კიდევ პირველად ისტორიაში განიზრახა საბოლოოდ დაემხო ტახტი პირსისხლიან ბურჟუაზიისა და მის მაგიერ განემტკიცებია თავის პროლეტარული დიქტატურა. და მართლაც ის შევიწროებული და ძალზე ნაწამები საფრანგეთის ბურჟუაზიის უსდრესით იმპერიალისტური პოლიტიკით 18 მარტს გაბედულათ იღებს ხელში ძალა უფლებას და ბურჟუაზიულ მთავრობას ტიერის მეთაურობით მიერეკება პარიზიდან.

ამნაირად ჯერ კიდევ მსოფლიოში პირველად შესდგა პირველი მუშური მთავრობა, რომელიც თავის გაჩენის დღიდანვე შეუდგა წმინდა მუშური საქმეების ცხოვრებაში გატარებას, როგორც იყო მაგალითად: მუშების მიერ კომუნის არჩევა, კაპიტალისტებისთვის ფაბრიკა ქარხნების ჩამორთმევა და მათი მუშებზე გადაცემა, ძველი არმიის დაშლა და მის მაგივრათ ახალი ნაციონალური გვარდიის შექმნა, ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან და ზოგიერთ ეკლესიებისთვის ძვირფასი ნივთების ჩამორთმევა და სხვა ბევრი.

მაგრამ ამ დიდებითი საქმეების გარდა, პარიზის კომუნას ქონდა ისეთი შეცდომები, რომლებმაც ფრთებში შეასხა ოდესღაც დამარცხებულ ტიერის მთავრობას და პარიზის მეთაურების ერთგვარ დაუდევრობით ვერსალში ძალა-მოკრეფილმა დიდი ძალი ჯარით შემოუტია პარიზს.

პარიზის პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა შემოსეულ ბურჟუაზიულ ჯარების წინაამდეგ. გაჩაღდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა, რომელშიაც ძლეულ იქმნა პარიზის გმირი კომუნარები და გაიმარჯვა ბურჟუაზიამ. მაგრამ საშინელი იყო შურის ძიება გაათრებულ ბურჟუაზიისა. ასობით და ათასობით ხვრეტდა ტიერის ჯარები პარიზის კომუნარებს, პარიზის ქუჩებში. არ ინდობდენ არც ქალებს არც ბავშვებს, იმის შიშით, რომ ეს უკანასკნელნი არ გამხდარიყვნენ „ბუნტოვშჩიკები“.

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ ტიერის მიერ დახვრეტილ მუშათა რიცხვი უდრის 40,000 სულს, ხოლო გადასახლებულთა რიცხვი— 20.000 ამნაირად ბურჟუაზიის საშინელ შურის ძიებას მსხვერპლად შეეწირა 60 000 მუშის სიცოცხლე, რომელთა სისხლი ნიაღვრებად მიდიოდა პარიზის ქუჩებში.

დამარცხდა პარიზის კომუნა, მაგრამ ამით ოდნავათაც არ დამარცხებულა მისი იდეა, რომლის საბოლოოდ განხორციელება წილად ხვდა რუსეთის გმირ პროლეტარიატს, რომელიც კომპარტიის მეთაურობით 1917 წელს ოქტომბერში, ამაყათ ჰკიდებს სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას ხელს და გვერდს უხვევს რაყველა იმ შეცდომებს, რომლებიც დაუშვა პარიზის კომუნამ, სწორი, ლოღიკური გზით მიდის საბოლოო მიზნისაკენ კომუნიზმისაკენ. ხოლო ყოველ წლობით კი, რუსეთის გმირი მუშათა კლასი დიდებით და ნეტარებით იხსენიებს პარიზის კომუნის დამარცხების დროს დაღუპულ კომუნარებს, ხოლო წყევლა და კრულვას უგზავნის მათ ჯალათებს.

## პარიზის კომუნის ფევრები



მიხ. ბაკუნინი ელიზე რეკლიუ ჟ. მიულერი

## ორი კომუნა.

### პარიზი.

და ნისლი ეკრა პარიზ ს ცის თაღს.—
გამარჯვებებით მზერდა ტიერი!
ჰკვნესოდა კომუნა და მისს სურვილთ, დღეს
შესცვლოდა პირზე, ღიმი, იერი!..

სისხლის ორგიით მღერდა ვერსალი
ლუი-ბონაპარტს ფეხქვეშ ეშლოდა;—
გალიფემ პარიზს დაუნთო ალი!—
და მთელ საფრანგეთს წარღვნა ელოდა.

და კომუნარებს ზურგი აქცია
ნაციონალურ თეთრმა გვარდიამ;
და ძირს გდებული ველარ ასწია
დროშა, პარიზმა, უკვე კარ-ღიამ.

სისხლში იღრჩოდენ კომუნარები:
დელეკლიუზ, ბლანკი, ფერარ და პრუდონ,
რეკლიუ, ბაკუნინ—შრომის ჯარები...
ვერსალეთ წინსვლა ვით და შეზღუდოს!

გადიხარხარა ბურჟუაზიამ
კომუნარების ობოლ საფლავზე;—
რომლის შავ მიწით, მაღლა ნაზ იამ
თვალი მოავლო მიმქრალ ვარსკვლავზე.

პარიზის კომუნა, ხანმოკლე, დაეცა.
არ ჰყავდა თავის გაწვრთნილი ჯარი,
რომ არისტოკრატთაგან მტკიცედ დაეცვა
თავი და მათზე ეყარა ჯავრი..

მშრომელი ხალხის სადარაჯოზე
ამაყ ღიმილით კვდებოდა ყველა;—
იმედით მზერდენ, რომ თავის დროზე
მოევლინოდა კომუნას შველა...

### პიტერი.

გავიდა დრო და... პიტერის ნისლში
ცა გადიწმინდა ოქტომბრის ქარით:
და ვინც მშრომელებს ახრჩობდა სისხლში—
თავზე დაატყდა ცეცხლის მუქარით.

გაისმა რკინის სიტყვები, ძლევით
გადმონაქუხი ლენინის პირით!
ტროცკი ძველ ქვეყნებს უქადის რღვევით
და აფეთქებას უპირებს!.. ძირით!..

პარიზის კომუნის მცოდნენი კარგად
აქ ასწორებენ იმის შეცდომებს!
მშრომელთა უბნებს მოედვნენ ქარგად
და უტეხავენ ჯალათებს ომებს!..

კამენევ უძლვის შრომის წითელ ჯარს—
ჯერ დამარცხება არსად უნახავს!
ბურჟუაზიას უკვე უსვამს ჯვარს,—
მრავალ მტერთ გროვა გადაუშლახავს.

და მთელ მსოფლიოს ყველა მუშები
ელიან, მათგ.ნ თავის დაღწევას,
კომუნის მღერით გულ-ნაშუშები
მყვლეფველთა ხროვას უთვლიან წყევას.

და შორს არ არის ის დრო, ოდესაც
წითელი დროშა ყველგან იალებს;
პარიზის კომუნა დაეცა ოდესღაც!?
ეხლა რუსეთის ცეცხლით გრიალებს.

დაშნა.

## 18 მარტი 1871 წ.—18 მარტი 1923 წ.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის თან და თან დაკარგა უნარი ამისი, პროლეტარიატის მძლავრი ძალის შემოტევის გამო, ძალაუფლება გადასცა ნაპალეონ მე-3 ს და თვით კი გადაეშვა საბირჟო სპეკულიაციაში. სახელმწიფო აპარატი გაიზარდა პარაზიტული შემადგენლობით მოხელეებისა. თვით ნაპალეონი ბურჟუაზიას ხელს უწყობდა იმით რომ მან გააფართოვა სავაჭრო ბაზარი, გაამრავლა საკრედიტო დაწესებულებები, ჩაითრია ევროპის ფინანსიური კაპიტალი, ბანკირები და სხვა; ასე, რომ ვაჭრობის განვითარების მხრივ მიეცა დიდი გასაქანი საფრანგეთის ბურჟუაზიას.

ამ ფერხულში იქნა აგრეთვე ჩათრეული მუშათა კლასი, იმ მიზნით, რომ უმუშევრობა არ ყოფილიყო გამოწვეული, რომელიც მუშათა კლასს ყოველთვის და ყოველგან რევოლიუციონურ სულს უდგამს.

ამავე დროს მსხვილი წარმოების ზრდამ გამოიწვია სოფლის მუშების ქალაქის წარმოებაში ჩათრევა. გაკოტრებულნი ქალაქის ხელოსნები შედიოდნენ მუშებად ფაბრიკა-ქარხნებში. ამ მდგომარეობამ გამოიწვია კლასიური უთანასწორობა და კლასიური ინტერესის შეგნებას გამოცოცხლება დაეტყო აქა, იქ წარმოებებში ადგილი ჰქონდა ამბოხებამ. ამას რამდენიმედ მიეცა პოლიტიკური ხასიათიც. საგულისხმიეროა ის, რომ რომელიმე რესპუბლიკანელის გასვენებას ესწრებოდა ათი ათასობით, მაგრამ თვით კლასიური ინტერესთა შეგნების დონე მაინც ვერ იყო ძამდგარი თავის სიმაღლეზე.

ამ მხრივ საგულისხმიეროა პლებისციტი, რომელიც მოხდა 19 იანვარს 1870 წ., და რომელმაც ნაპალეონის ხელისუფლებას მისცა 7 მილიონი ხმა წინაამდეგ მილიონ ნახევრის. თუმცა მაშინ ნაპალეონი ამ ციფრმაც დააფიქრა. მან მიხვდა რომ ეს მილიონ ნახევარი—მედგარი და რევოლიუციონური ენტუზიაზმით გატაცებული მშრომელი მასაა.

ამ უბედურების გასაქარწყლებლად, მან ე. ი. ნაპალეონ მე-3-მ ომი გამოუცხადა გერმანიას.

ამ დროს საზოგადოების წვრილ ბურჟუაზიულ ნაწილის შორის ემჩნევა სინდიკალისტური მიმართულება, რომელსაც მეთაურობდა თვით პრუდონი. პარალელურად განვითარდა მეორე მიმართულება სოციალისტური მიმდინარეობა ბლანკიზმი, რომელსაც ახასიათებდა შეთქმულება და ბუნდოვანი წარმოდგენა კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მხრივ. თუმცა ბლანკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას იმ დროს როცა პრუდონისტული მიმართულება მას ანგარიშს არ უწევდა და ჩაფლული იყო მუშათა კლასის ეკონომიურად გაუმჯობესების საკითხებში. როგორც ეტყობა აქედან საფრანგეთში არ ყოფილა ამ დროს არც ერთი ჭეშმარიტი პროლეტარული პარტია.

გერმანიასთან ბრძოლა ნაპოლეონის იმპერიისთვის შეიქნა საბედისწერო დამღუპველი, ის დაეცა. 4 სექტემბერს იქნა გამზადებული საფრანგეთი რესპუბლიკად-ტიერის მეთაურობით, რომელსაც ჰქონდა მიზნათ ბურჟუაზიული წესწყობილების გამტკიცება და ამისათვის ის არაფერს არ ერიდებოდა. ამავე დროს ტიერი გაიძახოდა არ დაუთმოთ ნემცებს „არც ერთ ქვას და არც ერთ ნაბიჯს მიწისასო“ თუმცა ამავე დროს გზავნიდა გერმანიის მთავრობასთან წარმომადგენლებს მოსალაპარაკებლად.

ქალაქში შიგ, ამ საერთო ვაკხანალიის დროს გაიზარდა მშრომელი მასების სულის კვეთება. ნაციონალურმა გვარდიამ, რომელშიაც ითვლებოდა დიდძალი მუშები ჰაირჩია თავის ცენტრალური კომიტეტი, გარეკა მთავრობის მიერ დანიშნული სარდლები და თვით ნიშნავდა საჭიროებისამებრ. მოაწყო კონფლიქტი ტიერის მთავრობასთან ქუჩებში უშიშრად გამართეს დემონსტრაციები, ამ დროს ტიერმა შეეცადა ეროვნულ გვარდიისათვის მოეტაცა ჩუმად 250 ზარბაზანი, რომლის მხრივ მას უმზადდებოდა დიდი საშიშროება ეს იქნა სისრულეში მოყვანილი რამოდენიმედ: მოტაცებული ჩუმად ზარბაზნები უცხენოდ ვერ წაიღეს დილამდე დილას კი შეტყობისთანავე, როგორც ეროვნული გვადია ისე მთელი პარიზის მშრომელი მასსა აფეთქდა და შეერთდენ ერთ ძლიერ რისხვად. ტიერი სახლის ქვეშა გვირაბიდან გაიპარა ვერსალში.

ამ რიგად გადაირჩინა თავი, ვერსალში კი მოიკრიბა ძალა მას მისი მტერი გერმანია ეხმარება ამ განსაცდელში პარიზის კომუნისტების გასაწრეხად.

ორი თვის განმავლობაში პარიზის კომუნამ შესძლო გამკლავება ბურჟუაზიის წინაამდეგობის, მაგრამ 21 მაისს გერმანიის რეგულიარული ჯარის დახმარებით ვერსალელები შეიჭრენ ქალაქში. დაეცა პარიზის კომუნა. თვით ბურჟუაზიულ წყაროდან არის ცნობები, რომ დახვრეტილია 30.000 კომუნარები. მუშების სისხლმა შეღება პარიზის ქუჩები.

დიახ, ასე დაეცა პარიზის კომუნა, მაგრამ ან თავისი სისხლით შეღება რა მუშათა მოძრაობის ისტორიის ფურცლები საუკეთესო მაგალითი მოგვცა მუშათა კლასის გაბედულ და გადამწყვეტი ბრძოლისა გაყვლეფილთა და დაჩაგრულთა დიქტატურის მოპოებისათვის.

იმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეცდომის გასწორება

გაზ. „წითელ არმიელის“ № 234 შემთხვევით შეიპარა შემდეგი შეცდომა. გაზეთ „წითელ არმიელის“ დახმარების კვირეულში სწერია 3. შეერთებულ სამხედრო სკოლამ შემოსწირა ჯამაგირებიდან პროცენტების გადადებით 7.850.000 მანეთი. **უნდა იყოს 8.680.000 მანეთი.**

## მენშევიკების პარტიის რიგების დაშლა.

გამოვიდენ მენშევიკების პარტიიდან ძველი პარტიული მომუშავეები რიცხვით 66 კაცი, რომლებმაც გამოაქვეყნეს შემდეგი განცხადება:

ჩვენ ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები საჯაროთ ვაცხადებთ, რომ დღეის რიცხვიდან ვტოვებთ პარტიის რიგებს, ვინაიდან მისი მოქმედება 1914 წლიდან და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში გამოიხატება აშკარა კავშირში ბურჟუაზიასთან და ყოველგვარ და ყოველი ჯურის საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიებთან და ყაჩაღებთან, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ პროლეტარულ რევოლიუციას შეიარაღებულ აჯანყებით და უცხოელთა ჯარების შემოსევით.

ზიზღს უცხადებთ მოღალატე მენშევიკურ პარტიას და ვადგივართ რა საბჭოთა მთავრობის პლატფორმაზე, ფიცსა ვსდებთ მუშათა კლასის წინაშე. შევებრძოლოთ, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს მუშურ გლეხურ ხელისუფლებისა, მოვუწოდებთ ყველა პატიოსან წევრებს მენშევიკური პარტიისა, რომლებშიაც დარჩენილა ოდნავ მაინც სიყვარული მუშათა კლასის მიმართ დასტოვონ საზიზღარი გაბანდიტებული მენშევიკური პარტიის რიგები და გვერდში ამოუდგენ საბჭოთა მთავრობას, რომელსაც შეუძლია იხსნას კაცობრიობა კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან და დაამყაროს, ძმობა ერთობა და სოლიდარობა ყველა მშრომელთა შორის.

## კომუნა.

გავარდა მეხი, შეინძრა მთები
და ქარტეხილი გაქანდა ცაზე.
მიწიერ ქვეყნის ტანჯვის ღმერთები
პირქვე დაეცნენ გაყინულ ქვაზე.

რისხვად ავარდნილ მძაფრ ქარტეხილში
სიკვდილი ტიერს ბედმა არგუნა.
ფოლადის ხელით, მუშის ძახილში,
ცეცხლის ალებში იშვა კომუნა.

თვრამეტი მარტი კომუნის დღეა
ჩვენ ის გვაგონებს განვლილსა ბრძოლებს,
მან განამტკიცა ჩვენი იდეა
და დღესაც გვიხმობს შრომისა შვილებს.

წ.-არმ. **ერმა.**

## ჩვენს წითელ ჯარში

### მისალმებანი საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობას

**ქ. თბილისის მუშათა და გლეხთა წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო** უგზავნის სალამს საქართველოს კომპარტიას და უსურვებს მას საბოლოო გამარჯვებას,—მომავალ ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ.

**ქარხანა „ლენინისა“ და „25 ოქტომბრის“** იაჩეიკის საზეიმო სხდომა, უპარტიოთა, სამოსწავლო-კადრის, ავტო-ჯავშნოსან რაზმისა და მე 2-ე კავკასიის საკავალერიო კურსების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომუნისტურ პარტიის 25 წლის თავზე მხურვალე სალამს უძღვნის პარტიის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობას.

**ამხ. ვლადიმერ ილიიჩ ლენინის ჯანმრთელობა.**

მოსკოვიდან მიღებულ ცნობით 15 მარტს ამხ. ლენინის მეტყველებასა და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას ემჩნეოდა თანდათანობითი გაუმჯობესება. ტემპერატურა 36,7, მაჯის ცემა - 88, მარჯვენა ფეხი და მარჯვენა ხელი იმავე მდგომარეობაშია.

## 12 მარტი ჩვენთან.

12 მარტს საარტილერიო დივიზიონის კლუბის დარბაზში გაიმართა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენის დაწყებამდე, თებერვლის რევოლიუციის 6 წლის აღსანიშნავად გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც დაესწრო, როგორც აღნიშნული ნაწილის წითელ არმიელები, ისე საგაუბიცო ბატარეის წითელ არმიელები და აგრეთვე მუშებიც. მიტინგზე წარმოითქვა რამოდენიმე შინაარსიანი სიტყვები, რომელმაც იქ დამსწრე საზოგადოებას გარკვევით გააცნო თებერვლის რევოლიუციის მნიშვნელობა. იყო შეკითხვები, რომელზედაც გაცემული იქნა დამაკმაყოფილებელი პასუხი, რის შემდეგაც მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება თებერვლის რევოლიუციის 6 წლის შესრულების გამო, ჩვენ საარტილერიო დივიზიონი და საგაუბიცო ბატარეია, განუსაზღვრელი სიხარულითა და აღფრთოვანებით ვეგებებით დღევანდელ დიდ მნიშვნელოვან დღეს. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თებერვლის რევოლიუცია იყო შესავალი ოქტომბრის რევოლიუციისა, რომელმაც გაანადგურა მუშათა კლასის დამმონავებელი და სისხლის მსმელი თვითმპყრობელობა. ჩვენ წითელ არმიელები ფიცსა ვსდებთ პროლეტარიატისა და მათ წითელ დროშის წინაშე, რომ ფხიზლად და მედგრად ვიდგომებით სადარაჯოზე და უკანასკნელ სულის აღმოხდენამდის დავიცავთ რევოლიუციის მონაპოვართ. 1. ძირს მუშათა კლასის სისხლის მწოველი ბურჟუაზია. 2. გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას. 3. გაუმარჯოს კომუნიზმს. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, უკრავდა სამხედრო მუსიკა. წარმოდგენა დამთავრდა 1 საათზე. ხალხი დაიშალა კმაყოფილი.

**ხანისწყლისპირელი**

## წითელი არმია სოფლად.

**ცხენოსანთა მწყობრი დუშეთის მაზრაში.**

სამსახურის აღსასრულებლად ვიყავით გაგზავნილი ქართულ ცხენოსან ლეგიონის ერთი მწყობრი დუშეთის მაზრაში მისვლისას კარგად შეგვეგება როგორც ადგილობრივი მთავრობა, ისე მცხოვრებლებიც. საერთოდ მაზრას შევამჩნიეთ დიდი კულტურული ჩამორჩენილობა. ამ მხრივ აქ სულ ახლად ყოფილა დაწყებული კულტურული მუშაობა და იმედია ხელმძღვანელნი დავალებულ საქმეს პირნათლად შეასრულებენ; მისცემენ გლეხებს გათვითცნობიერებას და ისეთ მოვლენებს, როგორიც ვნახეთ საგურამოს რაიონში აღმოფხვრიან, ვნახეთ შემდეგი მაგალითი: საგურამოს თემში არსებობს სკოლა, მოწაფენი ითვლებიან საკმაოსად, მაგრამ როდესაც გაზაფხულზე დაიწყება სამეურნეო მუშაობა გლეხებს თავიანთი შვილები სასწავლებლიდან გამოყავთ და ან ამუშავებენ ან მწყემსებად აყენებენ, რასაც შესაფერი ყურადღება დროითვე უნდა მიექცეს.

8 მარტს იყო მოწვეული დუშეთის მაზრის უპარტიო ქალთა კონფერენცია რომელსაც დავესწარით ზოგიერთი ამხანაგები. საუცხოო სურათს წარმოადგენდა ეს კონფერენცია სადაც თავისუფლად გამოსთქვამდნენ თავიანთი აზრს მშრომელი ქალები და სადაც ზიზღით იხსენიებდნენ ევროპის მტაცებელ კაპიტალიზმს. იყო წარმოთქმული მისალმებითი სიტყვები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან.

ჩვენმა წარმომადგენელმა წითელმა მოლაშქრემაც ლეგიონის სახელით მიესალმა ქალთა უპარტიო კონფერენციას და დასდო ფიცი მშრომელთა მონაპოვარ თავისუფლების მტკიცედ დაცვისათვის, რამაც საზოგადოებაში აღფრთოვანება გამოიწვია

იგივე წითელი ლაშქრელი საგურამოს რაიონში მიესალმა კრებაზე შეკრებილ გლეხებს და მოუწოდა მშვიდობიან ცხოვრებისა და მიწის რეფორმის მშვიდობიან ჩატარებისაკენ.

საგურამოს რაიონში მიწის რეფორმა თითქმის ჩატარებული არის და გლეხები დიდი კმაყოფილნი არიან, თავიანთი ამორჩეულ კომისიის მოქმედებით.

გაუმარჯოს მიწის რეფორმას.

გაუმარჯოს გლეხებს და მათ მეურნეობას სამეურნეო ფრონტზე.

გაუმარჯოს მათ ხელმძღვანელს საბჭოთა მთავრობას!..

წით.-არმ. **ფანცულაია.**

## საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა

### რეზოლიუცია ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის მე-2-ე ყრილობა აღიარებს რომ: 1) პოლიტიკის სფეროში ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა სისწორით წამოაყენა და გაატარა ცხოვრებაში მისი მუშაობის ოთხი თვის პერიოდში ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხები საქართველოში: სოფლის მშრომელ მასების სასარგებლოდ აგრარული რეფორმის დამთავრება, სახალხო სასამართლოების მშრომელთა დიქტატურის ორგანოებად გადაქცევა, ბრძოლის გაძლიერება მენშევიკების და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია მათი რიგების დაშლა, მუშაობის გაძლიერება ნაციონალურ კულტურის დარგში და სხვ. 2) ორგანიზაციულ სფეროში ცენტრალურმა კომიტეტმა შესძლო მჭიდრო ორგანიული კავშირის მოგვარება და აღდგენა და ის ანხორციელებს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებზე მტკიცე ხელმძღვანელობას, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილებზე პარტიული მუშაობის გამოცოცხლება და აგრეთვე კავშირის გაბმა მუშათა კლასის და გლეხობის ფართო უპარტიო მასებთან, მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარების ნიადაგზე.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ამას, ყრილობა სავსებით იწონებს ახალი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს.

საქართველოს კომპარტიისათვის ყრილობა აღიარებს მორიგ ამოცანებად:

1. ძირითადი ამოცანაა დავამტკიცოთ საქმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება სავსებით უზრუნველყოფს კლასობრივ ინტერესებთან ერთად მშრომელთა არა მარტო ეკონომიურ, არამედ ნაციონალურ ინტერესებსაც.

2. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია აღიარებულია ისეთ ფორმად, რომელიც უზრუნველყოფს კავკასიაში ნაციონალურ მშვიდობიანობას და მოაწესრიგებს ეროვნებათა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას და საბოლოოდ აღმოფხვრის აზნაურთა და ბურჟუაზიულ (მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების) ბატონობის ხანაში დაწყებულ ბრძოლას და ამიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთ შორის უნდობლობას. ფედერაციას პრაქტიკაში უნდა მიეცეს ისეთი მოქნილი ფორმები, რომელიც სრულიადაც არ უნდა არღვევდეს ფედერატიულ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას მეურნეობის და მართვა გამგეობის ყველა იმ დარგებში, რომელიც არ მოითხოვენ დაუყოვნებელ გაერთიანებას ამიერ-კავკასიის მაშტაბით, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მოტივების გამო.

3. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფედერატიულ ორგანოების აღმშენებლობის კონკრეტიული ფორმები და სახალხო კომისარიატების განაწილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებისა და სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შორის, უნდა იქნას განხილული პარტიული ყრილობის კომისიებში დღის წესრიგის სათანადო მუხლის თანახმად; (ეროვნული საკითხი პარტიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში).

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა გაერთიანებულ აპარატებს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ გადაქცევა „ველიკორუსულ“ ნაციონალიზმის გამტარებელ იარაღათ, ყოველგვარ ასეთ ცდის წინააღმდეგ პარტიამ უნდა აწარმოვოს გაბედული და სისტემატიური ბრძოლა.

5 მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა და მიწის განხორციელება რევოლიუციონური ტემპით უნდა მოხდეს. გლეხთა მასების ნდობის მოპოება აგრარულ რეფორმის სწრაფი გატარებით არის პარტიის დამკვრელი ამოცანა, რომელიც მოითხოვს პარტიის ყველა წევრთა ძალღონის გაერთიანებას კულტურულ მეურნეობის, მაღალი კულტურის და სხვათა შენარჩუნების ამოცანები ამას თანავე ერთად უნდა იქნან მიღებული მხედველობაში არსებულ კანონების თანახმად.

6 საჭიროა ზედმიწევნით დავიცვათ ნაციონალურ ცრუმორწმუნეობის გახრწნის და დაძლევის ის მეთოდი, რომელიც აღნიშნულია, როგორც რუს. კომპარტიის (ბოლშევიკების), 10 ყრილობის რეზოლიუციებში, ისე ამხ. ლენინის წერილის საერთო დებულებაში. საქართველოს კომუნისტებმა განსაკუთრებით უნდა მიიღონ მხედველობაში ყველა ამ პარტიულ დოკუმენტებში აღნიშნული დებულებები და განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრან ეროვნულ გრძნობებს ჩაგვრაში გამოვლილი ერის მასების ბუნებრივ უნდობლობას სხვა ერებისა და აგრეთვე დამჩაგვრელ ერების პროლეტარიატისადმი.

7 მასთან ერთად საჭიროა ვაწარმოვოთ დაუზოგავი ბრძოლა კონტრ რევოლიუციონურ პარტიების და კერძოთ მენშევიკურ პარტიის წინააღმდეგ, რომელთათვისაც ეროვნულ გრძნობებზე თამაში არის მხოლოდ იარაღი მშრომელ მასების უცხოეთის კაპიტალისათვის დასამონავებად, რომლის მხრით დახმარებაშიაც მდგომარეობს მათი ერთად ერთი იმედი თავიანთ ძალა-უფლების დამყარებისა.

ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტების სპეციალურ ამოცანას შეადგენს დაუღალავი სისტემატიური და განუწყვეტელი ბრძოლა კავკასიის სხვა და სხვა ხალხთა (კერძოთ ქართველებს, სომხებს და თათრებს შორის) სიძულვილის და უნდობლობის გრძნობებს, რომელსაც აღვივებენ ნაციონალისტები.

ასეთი გრძნობების ყოველგვარი გამოხატულება უნდა ჩაითვალოს შავ-რაზმელებათ და ანტისემიტიზმათ.

იმ გრძნობებთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს, რომლების განვითარებაში განსაკუთრებით დაინტერესებულია მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატისტური კონტრ რევოლიუცია, უნდა შეადგენდეს გაძლიერებული მუშაობა ყველა კრების მუშათა და გლეხთა შეკავშირებისათვის, სხვა ერთა მუშებისა და გლეხების ისტორიასა და კულტურასა და ბრძოლასთან გაცნობა და როგორც ფართო მასების, ისე განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჭეშმარიტი ეროვნული აღზრდა.

სცნობს რა, რომ პარტიის მთლიანობა წარმოადგენს მთელი ჩვენი პარტიის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ლოზუნგს, აცხადებს რა ყოველგვარ ჯგუფებს და ფრაქციებს გაუქმებულად, ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეუბრალებლად სდევნოს ეს მავნე მოვლენები და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაერიდებიან არც პარტიიდან გამორიცხვასაც, რ. კ. პ. მე-10 და მე-11-ე ყრილობების დადგენილებათა თანახმად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1500. პასუხისმგებელი რედაქტორი პ. ქუთათელაძე